ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მშობელთა სათათბიროს დებულება

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება №41 01.08.2024 წ

2024 წ

სარჩევი

1. ზოგადი ნაწილი 3
2. მშობელთა სათათბიროს მიზნები და ამოცანები 3
3. მშობელთა სათათბიროს უფლება-მოვალეობები 3
4. მშობელთა სათათბიროს შემადგენლობა და არჩევნები 4

1. ზოგადი ნაწილი

1.1. ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის“ (შემდგომში - სკოლა-გიმნაზია) მშობელთა სათათბირო წარმოადგენს მშობელთა ნებაყოფლობით გაერთიანებას;

1.2. სკოლა-გიმნაზიის მშობელთა სათათბირო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ“, სათათბიროს წევრების, პედაგოგიური საბჭოს, სკოლა-გიმნაზიის დირექტორისა და კლასის დამრიგებლის რეკომენდაციებით.

2. მშობელთა სათათბიროს მიზნები და ამოცანები

2.1. მშობელთა სათათბიროს მიზანია საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა როგორ სასკოლო გარემოში, ასევე სკოლის გარეთ;

2.2. მშობელთა სათათბიროს ამოცანებია:

2.2.1. განამტკიცოს სკოლა-გიმნაზიასა და ოჯახს შორის უწყვეტი კავშირი. ხელი შეუწყოს სასკოლო კულტურის გამდიდრებას და მის განვითარებას;

2.2.2. ითანამშრომლოს სკოლა-გიმნაზიასთან მოსწავლეების ქრისტიანული ღირებულებების მქონე, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დამცველ, მოაზროვნე და თავისუფალ პიროვნებებად ჩამოსაყალიბებლად;

2.2.3. დაეხმაროს სკოლა-გიმნაზიას არაფორმალური განათლების, მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზების, სპორტული ღონისძიებებისა და საკლუბო მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში;

2.2.4. დაეხმაროს სკოლა-გიმნაზიას მიზნობრივი, დამატებითი ფინანსების მოძიებაში(გრანტი);

2.2.5. ხელი შეუწყოს მშობელთა ჩართულობას ბავშვის განათლების პროცესში, როგორც სრულუფლებიან პარტნიორებს;

2.2.6. მონაწილეობა მიიღოს სკოლა-გიმნაზიაში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნაში და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამდიდრებაში;

2.2.7. იზრუნოს სკოლა-გიმნაზიის იმიჯისა და რეიტინგის გაზრდაზე საზოგადოებაში.

3. მშობელთა სათათბიროს უფლება-მოვალეობები

3.1 მშობელთა სათათბირო იკრიბება სხდომაზე სემესტრში სულ მცირე, ერთჯერ. რიგგარეშე შეკრება შესაძლებელია არანაკლებ ხუთი მშობლის მოთხოვნით;

3.2 მშობელთა სათათბირო უფლებამოსილია შეიმუშავოს რეკომენდაციები სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან დაკავშირებით და განსახილველად წარუდგინოს სკოლა-გიმნაზიის დირექტორს;

3.3 მშობელთა სათათბირო უფლებამოსილია შეიმუშავოს ინიციატივები სკოლა-გიმნაზიის განვითარებასთან დაკავშირებით და განსახილველად წარუდგინოს სკოლა-გიმნაზიის დირექტორს;

3.4 სკოლა-გიმნაზიის დირექტორი სკოლა-გიმნაზიის პოლიტიკისა და საჭიროების გათვალისწინებით განიხილავს ამ რეკომენდაციებს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

4. მშობელთა სათათბიროს შემადგენლობა და არჩევნები

2.3. მშობელთა სათათბიროს შემადგენლობა განისაზღვრება თითო კლასიდან თითო მშობლით;

2.4. მშობელთა სათათბირო აირჩევა ერთი წლის ვადით;

2.5. მშობელთა სათათბიროს არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში;

2.6. მშობელთა სათათბირო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.